საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 345-02
20/02/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი რეგიონალური კვლევით ბაზებზე კვებითი მომსახურების ტარიფების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული, ''სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების''_ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის, საფუძველზე და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსის, ნიკოლოზ თარაშვილის 2018 წლის 16 თებერვლის (რეგისტრ. №2466-35) სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილ რეგიონალურ კვლევით ბაზებზე კვებითი მომსახურების ტარიფები განისაზღვროს დანართი1-ის და დანართი 2-ის შესაბამისად;
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურის უფროსს (ნიკოლოზ თარაშვილი);
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
4. დაევალოს კანცელარიას ბრძანების ასლები მიაწოდოს: უნივერსიტეტის ბაზებისა და დამხმარე ობიექტების სამსახურს, უნივერსიტეტის რეგიონალური კვლევითი ბაზების ადმინისტრატორებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი